ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

499962/

თ-466

ხელნაწერის უფლებით

სალომე თენგიზის ასული ომიაძე

# სიტყვათა სემანტიკური ჯგუფები და „შეუძლებელი შეხამებანი" თანამედროვე პოეზიის ენაში

(10.02.03 – ქართველური ენები)

სადისერტაციო მაცნე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის

სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

1995

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ზაზუნაშვილი ელენე აკაკის ასული

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გოგოლაშვილი გიორგი ბიძინას ძე;
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
მირიანაშვილი ნათელა გიორგის ასული

დისერტაციის დაცვა გაიმართება 1995 წლის 7 VI 13 საათზე ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს P 10.02 C 10-6 სხდომაზე
მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი მაცნე" დაიგზავნა 1995 წლის 3 V

Библиотека
Тбилисского гос. педа-
гогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლ. მეცნ.
დოქტორი, პროფესორი გ. ი. წიბახაშვილი

– 1505 –



## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობას განაპირობებს სულ ცოტა სამი მომენტი: ა) ყველაზე აქტიური ენობრივი შემოქმედების სფერო, რომლის შეცნობა თანამედროვე ლინგვისტიკის გადაუდებელ ამოცანადაა მიჩნეული, პოეზიაა, სადაც ენა მთელი სისრულით გამოავლენს ყველა თავის შესაძლებლობას; ბ) მხატვრული ენის ზოგადი თეორიის შექმნისადმი მსოფლიოში გაზრდილი ინტერესი; გ) ქართული პოეტური ენის ისტორიის დადგენის აუცილებლობა.

ნაშრომის მიზანია პოეტური ელემენტების ენობრივი მექანიზმების გამოვლენა ლექსიკოლოგიისა და ლექსიკური სინტაგმატიკის დონეზე.

გაანალიზებული მასალის კორპუსს შეადგენს ნიმუშები XX საუკუნის ორმოციამდე ქართველი პოეტის ნაწარმოებებიდან. ამა თუ იმ ენობრივი ტენდენციის მემკვიდრეობითობის საილუსტრაციოდ შერჩევითაა გაანალიზებული ფრაგმენტები შოთა რუსთაველის, გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან, აგრეთვე ძველი ტექსტებიდან.

გამოკვლევის სიახლე. ნაშრომში პირველადაა შესწავლილი „არაპოეტური ლექსიკის" შემადგენელი თემატურ-შინაარსობრივად მრავალფეროვანი ფენები და სიტყვათა სემანტიკური კლასების სპეციფიკური ორგანიზაციის ხერხები პოეზიის ენაში. ქართველ პოეტთა ფართო სპექტრის მასალაზე დაყრდნობით ასევე პირველადაა გამოვლენილი, სისტემატიზებული და მონოგრაფიულად შესწავლილი „შეუძლებელ შეხამებათა" გენერირებისა და პოეტური ელემენტების შექმნის ენობრივი მექანიზმები.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში გამოყენებულია სინქრონიული აღწერისა და დიაქრონიული კვლევის მეთოდები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დებულებები ღირებულია როგორც სემანტიკის, ისე ენათმეცნიერებაზე ორიენტირებული პოეტიკის თეორიის თვალსაზრისით. დასმულია ქართული პოეტური ენის შესწავლის საკითხი მისი ისტორიის დადგენის მიზნით. წარმოდგენი-